



01.03.2014


ზურაბ ნიჟარაძე: "15 მარტამდე ველოდებით პრემიერს სვანეთში"

სტატიები



ეკა მაღალაძე

შეუერთდი განხილვას



„ხუდონჰესი: „სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტების“ ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე“ - ამ სახელწოდებით დღეს სახალხო დამცველის აპარატის ინიციატივით ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში დისკუსია გაიმართა. დისკუსიის მოდერატორი თავად ომბუდსმენი უჩა ნანუაშვილი იყო. შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის მინისტრები, ასევე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ თავმჯდომარე მანანა ქოჩლაძე, თუმცა დისკუსიას ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი და გარემოს დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი მაია ბითაძე დაესწრნენ. მანანა ქოჩლაძემ იმ სტანდარტებისა და უფლებების დარღვევაზე ისაუბრა, რაც ამ პროექტს ახლავს თან. პროექტის სამართლებრივ მხარეზე ისაუბრა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა მაია ლიპარტელიანმაც.

მოკლე გამოსვლების შემდეგ მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ მათთვის შეკითხვები დაესვათ. ომბუდსმენმა რამდენჯერმე მოუწოდა დამსწრეებს, მხოლოდ უშუალოდ უფლებების დაცვის პრობლემასთან დაკავშირებით ესაუბრათ, მაგრამ ჰესის მშენებლობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა კითხვა-პასუხი მალევე ხმაურით გაგრძელდა და ასევე დასრულდა. ომბუდსმენის აზრით, დისკუსიისა და დიალოგის გაგრძელება აუცილებელია. ხაიშის მკვიდრნი კი, რომლებიც დღეს შეხვედრას ესწრებოდნენ, მიიჩნევენ, რომ მთავარი კითხვები ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია. ხაიშის სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ზურაბ ნიჟარაძე ერთ-ერთია მათ შორის.

- გაეცა თუ არა დღევანდელ შეხვედრაზე თქვენს შეკითხვებს პასუხი?

ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმიტომ, რომ ძალიან ბევრი კითხვა იყო დასმული. საკითხები, ძირითადად, შეეხებოდა ადამიანის უფლებებს. ადამიანის უფლებები კი მრავალმხრივაა დარღვეული წინა ხელისუფლების დროს და მდგომარეობა გრძელდება ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებშიც. ამას ყველა ვხედავთ და ვაცნობიერებთ.

დარღვეულია ადამიანის მიერ კერძო საკუთრების ფლობის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება - რა სარგებელი შეიძლება მოიტანოს მთლიანად ამ პროექტმა სინამდვილეში. არ არსებობს არც განსახლების სამოქმედო გეგმა.

მე დღეს სამი კითხვა დავსვი. ენერგეტიკის მინისტრმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მალე წარადგენდნენ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას - მაინტერესებს, განა ენერგეტიკის სამინისტროს ამ დოკუმენტის წარმდგენი? სად არის „ტრანსელექტრიკა“? ისინი არც დღევანდელ შეხვედრას დასწრებიან. გარდა ამისა, კითხვაზე, რამდენად კვალიფიციურია კომპანია „ტრანსელექტრიკა“, კალამქმ უპასუხა, რომ მთავარი არა კვალიფიკაცია, არამედ ის არის, რომ კომპანიას აქვს პროექტის განსახორციელებლად საჭირო ფინანსები. თუ ის არაა პრობლემა, რომ ასეთი ჰიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობის გამოცდილება არ აქვს კომპანიას, მაშ რაღაა პრობლემა? ეს ხომ ადამიანის უფლებების მკვეთრი დარღვევაა, ეს ხომ პირდაპირი საფრთხეების შემცველია ადამიანისა და გარემოსთვის. იმ კითხვაზე კი, ივარაუდება თუ არა რუსული ფულის შემოდინება ამ პროექტის განხორციელებისას, მან თქვა, რომ „ტრანსელექტრიკა“ ინგლისურ-ინდური კომპანიაა, მაგრამ იქვე დაუმატა: „რა, რუსული კაპიტალი არ შემოდის ქვეყანაში?“ ფაქტობრივად, არ უარყო ეს ვარაუდი. ეს კი ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია. იმ სახელმწიფოს კაპიტალის შემოსვლა, რომელსაც მიტაცებული აქვს ჩვენი ტერიტორიების 20 % და ფაქტობრივად, ყოველგვარი კავშირი გვაქვს გაწყვეტილი, მათივე განმარტებით „ასეთ სტრატეგიულ ობიექტში“ კითხვებს ბადებს. ეს კითხვები პასუხგაუცემელი დარჩა ჩემთვისაც და საზოგადოებისთვისაც.

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ დღეს კიდევ ერთხელ შემოგთავაზათ ათკაციანი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც ხაიშის თემის სახელით მიიღებს მონაწილეობას მოლაპარაკებებში, რატომ უარყოფთ ამ შემოთავაზებას?

ჩვენ, რეალურად, ყველანაირად იგნორირებული ვართ. კახი კალამეს არ შევხვდებით, როცა ადამიანი გეუბნება: შევხვდები და დაგელაპარაკებო, და თან მაინც იმას გავაკეთებ, რასაც ვაპირებო, აქ შეხვედრას აზრი არ აქვს. გინდაც ჩამოვიდეს ხაიშში, მოსახლეობა ალბათ არ შეხვდება. ჩვენ შევხვდებით პრემიერ-მინისტრს, რომელიც ზომიერებით გამოირჩევა ამ საკითხთან დაკავშირებით და აბსოლუტურად მისაღებია მისი განცხადებები, რომ არ უნდა დაირღვეს ადგილობრივი მოსახლეობის უფლებები და ასევე აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ინვესტორის უფლებებიც. ძალიან მალე პროკურატურაშიც შევიტანთ მოთხოვნას, გამოიკვლიონ, რამდენად მართებულადაა დადებული მემორანდუმი „ტრანსელექტრიკასთან“, რამდენად კაბალურია ის ქვეყნისთვის და მორგებულია მხოლოდ კომპანიის ინტერესებზე. ალბათ ამის შემდეგ მეტი პასუხი გამოჩნდება.

ენერგეტიკის სამინისტრო ყოველდღე აფიშირებს, რომ ხუდონჰესის პროექტი მაინც განხორციელდება. ჩვენ ამას აღვიქვამთ ზეწოლად როგორც მოსახლეობაზე, ისე გადაწყვეტილების მიმღებ სამინისტროებზე, მათზე, ვინც შესაბამისი ნებართვები უნდა გასცეს. ამიტომ ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლებს არ შევხვდებით. იმედი გვაქვს, პრემიერი გამონახავს დროს და ამოვა სვანეთში, შედეგი კი ორივე მხარისთვის დამაკმაყოფილებელი იქნება.

დღეს პრემიერის კანცელარიაში შევიტანეთ წერილი, რომლითაც ვთხოვთ პრემიერს, რომ 15 მარტამდე შევხვდეს, პასუხს დაველოდებით. პრემიერმა რამდენჯერმე გამოთქვა მზაობა, რომ ამობრძანდება სვანეთში. ჩვენ დიდი სიამოვნებით შევხვდებით პრემიერს-მინისტრს, როგორც თავდაჭერილ და ზომიერ პოლიტიკოსს.

რატომ არ მიეცით უფლება, რომ დაწყებულიყო მიწის აზომვითი სამუშაოები?

ისინი არ იყვნენ უბრალოდ მიწის აზომველები. ისინი ზომავდნენ მიწას შემდგომში კომპენსაციის გადახდის მიზნით. თუ ასე აწუხებთ ეს პრობლემა, ჯერ ის 1500 ჰექტარი დაუბრუნონ ეკონომიკის სამინისტროს, რაც წინა ხელისუფლებამ 1 დოლარად აჩუქა - 178 მლნ დოლარად შეფასებული სამშენებლო სამუშაოები, ტყის მასივები და ა.შ. შემდეგ ჩვენ ჩვენი სახსრებით გავიფორმებთ ამ მიწას და მერე ვინ წავა მოლაპარაკებებზე ინვესტორთან მიწისა და საკუთარი თავის გაყიდვის თაობაზე, ეს უკვე მომავლის საქმეა. ჩვენ მიწის აზომველებს, შეფასებისა და კომპენსაციის

გადახდის მიზნით მოსულეებს, სოფელში არ შევუშვებთ.

ეს არაა მარტო კერძო მიწები და სახლ-კარი. აქაა სათემო საძოვრები, სავარგულები, საძოვრები. საუკუნეებია იქ გვიცხოვრია, გვაქვს შემოღობილი და ვიყენებთ, როგორც აქამდე ვიყენებდით, ამისთვის საბუთები არ გვჭირდება.

ერთი თვეა, რაც ხაიშში მორიგეობა გაქვთ დაწესებული, გაგრძელდება თუ არა ეს აქცია?

მჯდომარე აქცია 31 იანვარს დავიწყეთ და ხვალ დამთავრდება. სოფლის ცენტრში კარავი გვქონდა გაშლილი და სადღეღამისო მორიგეობა გვქონდა დაწესებული. არსებული შეთანხმებით, კომპანიას 2014 წლის 1 მარტამდე უნდა აეღო გარემოზე ზემოქმედებისა და მშენებლობის ნებართვები. ეს დღე დადგა და კომპანიას ჯერ არ აქვს სამუშაოების დაწყების უფლება, ამიტომ აქციის გაგრძელებას აზრი აღარ აქვს. არ გვინდოდა, რომ ინვესტორი სოფელში ისე შემოსულიყო, რომ ჩვენ შემდეგ ფაქტის წინაშე დავმდგარიყავით. გარდა ამისა, გვინდოდა საზოგადოების ყურადღება მიგვეპყრო და გვეჩვენებინა, რომ ეს საზიანოა არამარტო თემისთვის, არამედ სვანეთისა და ქვეყნისთვისაც.

როგორი შედეგით დასრულდა 6 თებერვალს ხაიშში გამართული შეხვედრა სხვადასხვა თემის წარმომადგენლებთან?

1 თებერვალს ჩვენ შევხვდით მაჟორიტარ დეპუტატსა და სოზარ სუბარს. ნათლად გამოჩნდა, რომ საკითხი გასცდა ხაიშის საზღვრებს. ყველამ გაიაზრა, რომ ეს მთლიანად სვანეთის პრობლემა იყო, ამიტომ 6 თებერვალს 16 თემის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ ხაიშში. ყველამ გადაწყვიტა, რომ არ შეიძლება ერთი თემის გაწირვა თუნდაც 16 თემის აურაცხელი კეთილდღეობისთვის. ჩვენ გვთავაზობენ, რომ მართალია ხაიშის თემი აღარ იარსებებს, მაგრამ მთლიანად სვანეთის მოსახლეობა ისეთ ეკონომიკურ სარგებელს ნახავს, რომ სვანეთი აყვავდება. დედას რომ 17 შვილი ჰყავდეს, გასწირავს ერთს, რომ 16-მა მატერიალურად კარგად იცხოვროს? ეს ხომ გამორიცხებულია, ის თექვსმეტიც ხომ სულიერად დაბეჩავდება და საბოლოოდ მორალურად გარდაიცვლება.

6 თებერვლის შეხვედრის შემდეგ ჩვენ განცხადებაც გავავრცელეთ, ვითხოვთ გამოცხადდეს ღია ტიპის კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა კომპანიები, წარადგენენ თავიანთ პროექტებს, მათ შორის კი ქართველ და უცხოელ სპეციალისტებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად შეირჩეს საუკეთესო ვარიანტი, ისეთი, რომელიც არ გაანადგურებს ხაიშის თემს, არ დატბორავს სვანეთს. არ მიაყენებს იმ უზარმაზარ ზიანს, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელი გახდება.

ვიფიქროთ ალტერნატივაზე, ჩვენ იქიდან არ წამოვალთ. ამბობენ, რომ **20-30** კაცია რადიკალიო, მაგრამ რადიკალიზმამდე მათ მივყავართ, ეს ჩვენი ბრალი არაა. ჩვენ გეუბნებით ვიფიქროთ ალტერნატივაზე, თქვენ კი გვეუბნებით, რომ პროექტი უალტერნატივოა, როგორ დავიჯეროთ, როცა არც ერთი სხვა ვარიანტი არ განგვიხილავს?

საუბარია იმაზეც, რომ ბევრ ოჯახს უკვე აქვს აღებული კომპენსაცია **80**-იან წლებში.

კი, ამ არგუმენტს იყენებენ. 80-იანი წლების ბოლოს, კომპენსაციები ნამდვილად გასცეს. ოჯახებს აძლევდნენ შენობის შეფასების ნახევარს. ყველას არა, მაგრამ ბევრ ოჯახს აქვს აღებული ეს კომპენსაცია. ჩვენი კომპენსაცია 9000 საბჭოთა მანეთს შეადგენდა. ეს თანხები თითქმის ყველამ ბანკში შევიტანეთ და ყველამ დავკარგეთ. თუ ასეა და თავს ამ საბჭოთა ხელისუფლების მემკვიდრეებად მიიჩნევენ, მაშინ მთელ საქართველოს დაუბრუნონ ჯერ ის თანხები, რაც მაშინ დაიკარგა და ჩვენც მაშინვე დავაბრუნებთ იმ ფულს უკან.

სწორედ ასეთი მოუქნელი პოლიტიკის შედეგია, საქმე რომ ასე გართულდა. ამიტომ ვთხოვთ პრემიერს: არსებობს საშუალება, რომ ენგურჯესის პოტენციური მაქსიმალურად იყოს გამოყენებული, არსებობს ამის ალტერნატიული ვარიანტები და ვიფიქროთ ამ ალტერნატივებზე. აშენდეს სხვა ადგილას და სხვა პარამეტრებით. არიან ექსპერტები, სპეციალისტები, დავუჯეროთ იმ ხალხს.

ხუდონჯესის იმ ადგილას და იმ პარამეტრებით განხორციელება წარმოუდგენელია. სვანეთს ძალიან დიდი ზიანი მიადგება და საქართველო ძალიან დიდ ფასეულობას დაკარგავს კულტურული მემკვიდრეობის მხრივ. ამიტომ ეს პროექტი ყოვლად მიუღებელია ნებისმიერი საღად მოაზროვნე ქართველისთვის.

ამიტომ **15** მარტამდე ველოდებით პრემიერს, შეხვდეს სვანეთის მოსახლეობას, რადგან ეს მხოლოდ ხაიშის პრობლემა არ არის. მანამდე კი ჩვეულებრივ გავაგრძელებთ ცხოვრებას, მოვეფერებით მიწას, მოვუვლუთ ვაზს, ხეხილს, ვინც როგორ მოვა - ისე დავხვდებით.